განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. ამგვარი გამოწვევების საპასუხოდ, შესაბამისი ქმედებისთვის დაწესებულმა სანქციამ პირველ რიგში სამართალდარღვევის შემაკავებელი ფუნქცია უნდა შეასრულოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება იმ პირთა საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელშეშლას, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე არიან პასუხისმგებლები.

სახელმწიფოსა და საზოგადოების სტაბილური და გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწორედ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებაზე. მათმა შეუსრულებლობამ შეიძლება საზოგადოების ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება ანდა მოშლა გამოიწვიოს.

პრაქტიკაში ნორმის ეფექტიან აღსრულებას, ხშირ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომების არსებობა განაპირობებს. ამ კუთხით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს იმგვარ დარღვევებს, რომელიც თავისი ბუნებით წვრილმან სამართალდარღვევას არ წარმოადგენს და საჭიროებს მკაცრ მიდგომას.

ამ თვალსაზრისით, აღნიშვნას საჭიროებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც რამდენიმე შემდეგ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, მათ შორის არის შეკრების ჩატარების დროს ჩადენილი გადაცდომების ბუნება. სასამართლოს განმარტებით, დემონსტრანტთა მიერ არჩეული პროტესტის ფორმები - პარლამენტის შენობის შესასვლელების ბლოკირება, პარლამენტისკენ მიმავალი გზის შუაგულში დაჯდომა, პოლიციისთვის ხელის შეშლა გზის სავალი ნაწილი გათავისუფლების პროცესში - ნებისმიერი განზრახვისა და მიზნის შემთხვევაში, ცალსახად საზოგადოებრივი წესრიგის იმგვარ დარღვევას წარმოადგენს, რომელიც სცილდება მცირე მნიშვნელობის უწესრიგობის ფარგლებს. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარი ქმედებების აღსაკვეთად სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარი აქვს, მათ შორის, სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონე სასჯელები დააწესოს. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს საკმარისი სიმკაცრის მქონე სახდელებსაც, როდესაც საკითხი ეხება პოლიციელისადმი

წინააღმდეგობას, წვრილმან ხულიგნობას, შეკრება-მანიფესტაციის წესების განზრახ დარღვევას, რომელიც მიმართულია საწარმოთა, დაწესებულებათა, სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირების განზრახი შეფერხებისკენ.

სახდელების გამკაცრების თვალსაზრით მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობის 60 დღემდე გაზრდას. ასევე პროპორციულად მკაცრდება სანქციები წვრილმანი ხულიგნობისთვის, პოლიციელის წინააღმდეგობისთვის, შეკრება-მანიფესტაციის წესის დარღვევისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის არსებობა არ არღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს, თუკი დაცულია დაკავებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა და საპროცესო გარანტიები.

წინამდებარე კანონპროექტით იხვეწება საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უფლებამოსილ ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე განახორციელოს ეფექტიანი რეაგირება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ უფრო ცხადად რეგულირდება ადმინიტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული წარმოების ცალკეული წესები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად მოწესრიგდება განმარტებითი ბარათის „ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად,

- ✓ იზრდება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები;
- ✓ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს ემატება ახალი გარემოებები;
- ✓ ზუსტდება ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად;
- ✓ ზუსტდება წვრილმანი ხულიგნობის ქმედების შემადგენლობა და სახდელთა ზომები;
- ✓ იცვლება ვანდალიზმთან დაკავშირებული სახდელთა ზომები;

- ✓ 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები ჩამოყალიბდა ცალ-ცალკე ნაწილებად და იმავდროულად იცვლება ამ ქმედებებისათვის გათვალისწინებული სახდელთა ზომები;
- ✓ ადმინისტრაციულ სამართლდარღვევად განისაზღვრება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- ✓ ზუსტდება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისათვის ქმედების შემადგენლობები და იცვლება მათთვის განსაზღვრული სახდელთა ზომები;
- ✓ განისაზღვრა კანონპროექტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევების განხილვაზე უფლებამოსილი პირები;
- ✓ კიდევ უფრო მკაფიოდ განისაზღვრა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში;
- ✓ დაზუსტდა ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცების ტვირთი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი კანონპროექტის მიმართ (კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისათის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის გამოქვეყნებისთანავე ამოქმედებას, რადგან, კანონპროექტის მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ამოქმედების ამგვარი ვადის დადგენა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ საკითხებზე ეფექტიანი და დროული რეაგირების აუცილებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტიდან გამომდინარე ხარჯები, არსებობის შემთხვევაში, დაიფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით შესაბამისი უწყებისთვის განსაზღვრული არსებული ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი ცვლილება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, კანონპროექტით გათვალისწინებულია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომლის ჩადენისთვის გათვალისწინებულია ჯარიმები.

გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში იზრდება ჯარიმის ოდენობა, ასევე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს ემატება ახალი გარემოებები. ზემოაღნიშნული დარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმის გადახდისას, სამართალდამრღვევის მიერ თანხის ჩარიცხვა განხორციელდება სახელმწიფო ხაზინაში. ბიუჯეტში.

ასევე, იმ შემთხვევაში თუ სამართალდამრღვევს პირს სანქციის სახით დაეკისრება სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია, დასახელებული საგანი მიექცევა სახელმწიფოს საკუთრებაში და კონფისკებული ნივთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი შემოსავლების მიღება დამოკიდებულია სამართალდარღვევის ყოველწლიურ რაოდენობაზე, ასევე სამართალდამრღვევთა მიმართ სანქციის სახით გამოყენებულ სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციათა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან ახალი სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელი იქნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერა, რაც დაკავშირებული იქნება ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ხოლო ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევის ყოველწლიურ რაოდენობაზე.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ სამართალდამრღვევს პირს სანქციის სახით დაეკისრება სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია, დასახელებული საგანი მიექცევა სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო კონფისკებული ნივთების რეალიზაციამდე დასახელებული სამართალდარღვევის საგნის შენახვის ხარჯები გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტით გათვალისწინებულია რიგი სამართალდარღვევების შემთხვევაში 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს შესაბამის დაწესებულებაში თითოეული ასეთი პირის მოთავსების ხარჯებზე. ფინანსური გავლენა დამოკიდებული იქნება სამართალდამრღვევის ყოველწლიურ რაოდენობაზე, ასევე სამართალდამრღვევთა მიმართ სანქციის სახით გამოყენებულ პატიმრობის დღეებზე.

კანონპროექტის მიღების შედეგად გამოწვეულ ხარჯებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები (სასამართლო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაფარავენ.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

წარმოდგენილი ცვლილებები გავლენას მოახდენს იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებიც, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაჯარიმდებიან პროექტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის. ამასთან, თუ პირის მიმართ სანქციის სახით ასევე გამოყენებული იქნება სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია, დასახელებული მოახდენს გავლენას სამართალდარღვევის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი ახლებურად განსაზღვრავს სახდელებს გარკვეული სამართალდარღვევების ჩადენისათვის.

წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებული ჯარიმების ოდენობა დაკავშირებულია სამართალდარღვევათა ბუნებასთან და უზრუნველყოფს წინამდებარე კანონპროექტით განსაზღვრული პრევენციული მიზნის მიღწევას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ინიციატორთა მოსაზრებით, კანონპროექტი არ ახდენს გავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონის იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული პირის საჯაროდ შეურაცყოფა, საჯარო ცხოვრებაში დაკავებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რომელმაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი საჯარო საქმიანობა, გამოიწვევს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.[1]

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, საჯაროდ სიტყვიერი ანდა ფიზიკური შეურაცხყოფა, მუქარა, რომელიც მიმართულია ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს, ფედერალური ასამბლეის, პარლამენტის, ფედერალური არმიის, ფედერალური არმიის დამოუკიდებელი დეპარტამენტის ან ხელისუფლების წინააღმდეგ ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 თვემდე ვადით ან ჯარიმით.[2]

საფრანგეთის კანონის „პრესის თავისუფლების შესახებ“ 31-ე მუხლის მიხედვით, ცილისწამება პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, პარლამენტის წევრის, სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლის ან საჯარო მოხელის მიმართ, აგრეთვე, მოწმის ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ, იმ საქმიანობის გამო, რომელსაც ისინი ახორციელებენ, გამოიწვევს დაჯარიმებას 45 000 ევროს ოდენობით. ამავე კანონის 33-ე მუხლის თანახმად, შეურაცხყოფა იგივე გარემოებების გათვალისწინებით, ისჯება სასარგებლო შრომით ან ჯარიმით 12 000 ევროს ოდენობით.[3]

ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის, მთავრობის წევრის, მოსამართლის, პოლიციის ოფიცრის შეურაცხყოფა თავის საქმიანობასთან დაკავშირებით, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას 15 დღემდე ვადით

---

[1] https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1897
[2] https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10002296
[3] https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/LEGITEXT000006070722

ან ჯარიმას 50-დან 300 ევრომდე ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი სასამართლო პროცესის ან საპარლამენტო სესიის მიმდინარეობისას გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას 2 თვიდან 2 წლამდე ვადით ან ჯარიმას 200-დან 1000 ევრომდე ოდენობით.
ამავე კოდექსის 276-ე მუხლის თანახმად, იგივე ქმედება ჩადენილი თანამდებობის პირის/საჯარო მოხელის მიმართ გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას 8 დღიდან ერთ თვემდე ვადით ან ჯარიმას 26-დან 200 ევრომდე ოდენობით.[4]

ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის დადგენილი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გაიზარდოს 1/3-ით თუკი ის ჩადენილია: - ხელისუფლების, სახელმწიფო ინსტიტუტის ან ორგანოს მიმართ; - მთავრობის მეთაურის ან წევრის მიმართ; - საჯარო მოხელის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით.[5]

დანიის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის თანახმად, საჯარო მოხელის შეურაცყოფა სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით ისჯება 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით.[6]

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლის თანახმად, თანამდებობის პირის ან მასთან დაკავშირებული პირის შეურაცხყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით.[7]

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 595-ე მუხლის თანახმად, ცილისწამება სასამართლო, პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, აგრეთვე, მათი წარმომადგენლების მისამართით მიიჩნევა ცილისწამებად დამამძიმებელ გარემოებაში. (ზოგადად ცილისწამება ითვალისწინებს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას 2000 ევროს ოდენობით). ამავე კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად, იტალიის პრეზიდენტის პრესტიჟის და ღირსების შელახვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით.[8]

პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის დადგენილი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გაიზარდოს 1/2-ით პოლიტიკურ-თანამდებობის პირთა ან საჯარო მოხელეთა მიმართ ჩადენილი ამგვარი ქმედების გამო. აღნიშნული პირთა წრე მოიცავს: პარლამენტის და მთავრობის წევრებს, სახელმწიფო საბჭოს წევრებს, პოლიციისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლებს, საჯარო მოხელეებს, სამხედრო მოსამსახურეებს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, მოწმეებსა და ნაფიც მსაჯულებს. აგრეთვე, უნივერსიტეტის პროფესორებს.[9]

---

[4] https://legislationline.org/sites/default/files/documents/6e/BELG_CC_fr.pdf
[5] https://antislaverylaw.ac.uk/wp-content/uploads/2019/08/Netherlands-Criminal-Code.pdf
[6] https://www.retsinformation.dk/eli/lta/2016/1052
[7] https://sherloc.unodc.org/cld/uploads/res/uncac/LegalLibrary/Poland/Laws/Criminal%20Code%20(Poland).pdf
[8] https://www.altalex.com/documents/news/2014/10/28/dei-delitti-contro-la-persona
[9] https://www.pgdlisboa.pt/leis/lei_mostra_articulado.php?nid=109&tabela=leis&so_miolo

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, რატი იონათამიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, რატი იონათამიშვილი.